USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №54
მარტი, 2024

თბილისი, 2024

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

მათე ბუბაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №54 ბიულეტენს. მასში აღწერილია 2024 წლის მარტში განვითარებული მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. მოსალოდნელი ცვლილებები საარჩევნო კოდექსში

2024 წლის 20 მარტს ფრაქცია „ქართული ოცნების" დეპუტატებმა საქართველოს პარლამენტში დააინიციირეს საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსი" შესატანი ცვლილებები, რომლებიც ორ ძირითად ასპექტს მოიცავს: ერთი უკავშირდება საპარლამენტო, ხოლო მეორე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებს.

პირველი ცვლილების თანახმად, საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლს ემატება მე-6[1] პუნქტი,[1] რომლის მიხედვითაც, საპარლამენტო არჩევნებში პარტიას ენიჭება უფლებამოსილება, პარტიული სიის შედგენისას საარჩევნო ოლქის (ოლქების) ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა დელეგატად განსაზღვროს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, რომელიც პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში იქნება კონკრეტული საარჩევნო ოლქის დელეგატი. თითოეული კანდიდატი, შესაძლებელია, განისაზღვროს მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის დელეგატად. პარტიულ სიაში კანდიდატს მიეთითება იმ ოლქის ნომერი, რომლის დელეგატადაც დასახელდება.[2]

განმარტებითი ბარათის მიხედვით, საკანონმდებლო ინიციატივის მიზანია, პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში მოსახლეობამ არ დაკარგოს პარლამენტის დეპუტატებთან ბმა, რაც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელთა მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და გამოწვევებზე მყისიერ, ხარისხიან რეაგირებას.[3]

ფრაქცია „ქართული ოცნების" ამ ინიციატივას „პოლიტიკური თვალთმაქცობა" უწოდა ფრაქცია „ლელოს" დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა და პროპორციულ საარჩევნო სისტემაში კვლავ მაჟორიტარული ელემენტების შემოტანა ივარაუდა. მისი თქმით, მთავარი მიზანი ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა და ყოფილი მაჟორიტარების ავტორიტეტისა და რესურსის მაქსიმალურად გამოყენებაა.[4] ფრაქცია „საქართველოსთვის" დეპუტატმა ბექა ლილუაშვილმა ეს ინიციატივა საარჩევნო კანდიდატების ე.წ. „ადგილობრივ ფეოდალებად" განმტკიცებად შეაფასა.[5]

---

[1] საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის პროექტი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 20 მარტი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/28268, განახლებულია: 10.04.2024.

[2] იქვე.

[3] საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 20 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/eoqrR, განახლებულია: 10.04.2024.

[4] „დავით უსუფაშვილი - საარჩევნო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების მთავარი პრობლემა პოლიტიკური თვალთმაქცობაა", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 2024 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/defkK, განახლებულია: 10.04.2024.

[5] „ოცნების ახალი ცვლილება საარჩევნო კოდექსში - რატომ ახსენებს ოპოზიცია ფეოდალებს?", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 28 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bAGW8, განახლებულია: 10.04.2024.

საპასუხოდ, ინიციატივის ავტორი, დეპუტატი გივი მიქანაძე აღნიშნავს, რომ ცვლილების მიზანია არა მაჟორიტარიზმის დაბრუნება, არამედ მოსახლეობაში ერთგვარად იმ განცდის გაჩენა, თუ რომელ კონკრეტულ დეპუტატთან შეუძლიათ მათ, ჰქონდეთ კავშირი.[6]

საიას მოსაზრებით, ერთმნიშვნელოვნად, სახეზეა მაჟორიტარული სისტემის ელემენტების დაბრუნება პროპორციულ საარჩევნო სისტემაში, რაც ამ სისტემის ერთგვარ პერსონიფიცირებაში გამოიხატება. დელეგატის ცნების გაჩენა გარკვეულ გავლენას მოახდენს ამომრჩეველთა ნების ფორმირებაზე. ამასთანავე, პარტიებს უჩნდებათ შესაძლებლობა, უპირატესობა მიანიჭონ იმ კანდიდატებს იმ რეგიონებიდან, რომლებიდანაც მეტ მხარდაჭერას მოელიან. გარდა ამისა, ისეთი პარტიებისთვის, რომლებსაც სუსტი რეგიონული წარმომადგენლობა ჰყავთ, ერთგვარად უთანასწორო გარემო იქმნება. იმავდროულად, მოცემული ცვლილების პროექტიდან ბუნდოვანია, რამდენი ან რომელი პარტიიდან ეყოლება რეგიონს წარმომადგენელი, თუ კონკრეტული ოლქიდან რამდენიმე კანდიდატი მოხვდება პარლამენტში. რაც მთავარია, ეს ცვლილება მოსახლეობაში, რომლისთვისაც სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა ახალი და უცხოა, გამოიწვევს დაბნეულობას და კონკრეტული პარტიისთვის ხმის მიცემას განაპირობებს არა პარტიული პრეფერენციები, არამედ პერსონალური სიმპათიები, რაც, კლასიკურად, მაჟორიტარიზმისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა.

ცვლილებების მეორე ნაწილი შეეხება საარჩევნო კოდექსის 149-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც აქამდე ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს მაჟორიტარულ არჩევნებში 40%-იან ზღვარს აწესებდა.[7] ცვლილების შედეგად, საკრებულოს მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ნამდვილ ხმას მიიღებს. თუ რამდენიმე კანდიდატი დააგროვებს ერთი და იმავე რაოდენობის ხმას, მაშინ გამარჯვებულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე დარეგისტრირდა. ეს ნიშნავს, რომ საკრებულოს არჩევნებისას მეორე ტურის ჩატარების შესაძლებლობა უქმდება.

განმარტებითი ბარათისა და ინიციატივის ავტორების თანახმად, ცვლილების მიზანია საკრებულოს საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, რათა ახალარჩეული საკრებულო მყისიერად შეიკრიბოს და შეუდგეს საქმიანობას. 40%-იანი ბარიერისა და მეორე ტურის ჩატარების შესაძლებლობის გაუქმება ემსახურება იმ გარემოებების თავიდან არიდებას, რომლებიც დაკავშირებული იყო საკრებულოს შეკრების დროის გაწელვასა და მისი ფუნქციონირების შეფერხებასთან. ამასთანავე, ინიციატორები საუბრობენ მეორე ტურის მოწყობისთვის საჭირო რესურსების დაზოგვაზეც.[8]

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებმა რეგიონული განვითარებისა და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნეს, ეს ცვლილება შესაძლებლობას აძლევს ოპოზიციურ პარტიებს, მათი წარმომადგენლები პირველივე ტურში გავიდნენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ 40% არ ექნებათ მოპოვებული. მსგავსი ფაქტები თვითმმართველობის წინა არჩევნებზეც გამოვლინდა.

საიას მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ინიციატორების მიერ წარმოდგენილი მიზნები და არგუმენტები, შესაძლოა, რელევანტური იყოს, მთავარია, რა დევს მათ საპირწონედ. არსებული ცვლილებებით, შეიძლება შეიქმნას ასეთი სიტუაცია: მაჟორიტარობის კანდიდატმა დააგროვოს სხვებზე მეტი ხმა, მაგრამ საერთო ხმების განსაკუთრებით მცირე წილი (მაგალითად, 20%) და იგი, ამომრჩეველთა დიდი ნაწილის სურვილის საწინააღმდეგოდ (მაგალითად, დანარჩენი 80%-ის), მაინც გახდეს მაჟორიტარი. ამ შემთხვევაში იკარგება წარმომადგენლობითობისა და უმრავლესობის იდეა. მაჟორიტარულ არჩევნებში ზედა ზღვრის დაწესების მიზანია, გამარჯვებულ კანდიდატს ჰქონდეს ხმების მაქსიმალურად მაღალი პროცენტი, შესაბამისად,

---

[6] იქვე.

[7] საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის პროექტი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 20 მარტი.

[8] საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 20 მარტი.

მოსახლეობის მაქსიმალურად მაღალი მხარდაჭერა, რაც, არსებული ცვლილებებით, იზღუდება. მით უფრო, ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლება, უნდა სარგებლობდეს ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებულად ძლიერი მხარდაჭერით.

რაც შეეხება მეორე ტურის სრულად გაუქმებას, მით უფრო ფინანსური ეკონომიის მოტივით, საია მიიჩნევს, რომ დემოკრატია, განსაკუთრებით, დემოკრატიის პირდაპირი ფორმა - არჩევნები - არ შეიძლება შეიზღუდოს ფინანსური რესურსების დაზოგვის ან/და დეფიციტის საბაბით. მეორე ტურის მიზანი მოსახლეობასა თუ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის კონსენსუსის მიღწევის მცდელობაა, როდესაც ერთი კანდიდატი გარკვეული შეთანხმებების, საზოგადოებრივი დათმობების ხარჯზე იმარჯვებს. მეორე ტური, პრაქტიკის მიხედვით, გრძელდებოდა დაახლოებით ერთი თვე, რაც, თავისთავად, არ არის იმდენად დიდი დრო, რომ მისი საერთოდ გაუქმება გაამართლოს.

აღნიშნული ცვლილებების პროექტი 1-ელ აპრილს განიხილეს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, ასევე, იურიდიული კომიტეტების სხდომებზე, სადაც ის დადებითად შეაფასეს.[9]

2. დებატები პარლამენტში საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნასთან დაკავშირებით

22 მარტს პარლამენტში ინტერპელაციის წესით დაიბარეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი. ინტერპელაციის თემა იყო საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების დამატება, რაც ოპოზიციის რამდენიმეთვიანი კამპანიის უმთავრესი მოთხოვნაა, რათა არჩევნებში მონაწილეობა მაქსიმალურად ბევრმა საზღვარგარეთ მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ შეძლოს. აღსანიშნავია, რომ 2012-2022 წლებში საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა საქართველოს 245 ათასი მოქალაქე, თუმცა 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 12 ათასმა მათგანმა მიიღო.[10] ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ელენე ხოშტარიას პარტიების გაერთიანების „გირჩი - დროას“ ინიციატივით, ემიგრანტებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების დამატების თაობაზე.[11] ინტერპელაციის მთავარი თემა სწორედ ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის პოზიცია იყო.

ილია დარჩიაშვილის თქმით, საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების დამატება ნიშნავს ყველა ქალაქში საქართველოს საკონსულოს გახსნას,[12] რასაც სჭირდება იმ ქვეყნების თანხმობა და ვენის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურის დაცვა. ეს კი, შესაძლოა, რამდენიმე თვე გაგრძელდეს.[13] საგარეო საქმეთა მინისტრი გამოსავალს ხედავს არა საკონსულოების დამატებაში, არამედ საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების ინფორმირებაში. მოსახლეობას უნდა აუხსნან, რა უნდა გააკეთოს ემიგრანტმა, რათა არჩევნებში მონაწილეობა შეძლოს.[14] საქართველოს მოქალაქეების ნაწილს, რომელიც საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება, ჰგონია, რომ, თუ ისინი ამ მიზნით

---

[9] „რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებას მხარი დაუჭირა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 1-ლი აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/mtxM7, განახლებულია: 17.04.2024.

[10] „რა დაგიშავეს ემიგრანტებმა? საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების თაობაზე დარჩიაშვილი პარლამენტს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 22 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dlpl4, განახლებულია: 10.04.2024.

[11] „ზედმეტი აჟიოტაჟია ატეხილი საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნაზე - საგარეო საქმეთა მინისტრი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 26 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hsNY6, განახლებულია: 10.04.2024.

[12] „რა დაგიშავეს ემიგრანტებმა? საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების თაობაზე დარჩიაშვილი პარლამენტს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 22 მარტი.

[13] იქვე.

[14] იქვე.

დარეგისტრირდებიან, მათ დეპორტაცია და საქართველოში დაბრუნება მოუწევთ. თუმცა, მათ უნდა იცოდეს, რომ საზღვარგარეთ აღრიცხვაზე ყოფნა არ ნიშნავს მათ ავტომატურ დეპორტაციას და ეს მხოლოდ საარჩევნო მიზნებს ემსახურება.[15] საპარლამენტო ფრაქცია „გირჩის“ დეპუტატ ჰერმან საბოს შეთავაზებით, ამ რისკების დასაზღვევად, შესაძლებელია, რეგისტრაციისას პირმა მიუთითოს მხოლოდ საცხოვრებელი ქალაქი და არა ზუსტი მისამართი. ამ საინფორმაციო კამპანიას საგარეო საქმეთა სამინისტრო და ცესკო უახლოეს მომავალში დაიწყებს.[16]

საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი სოციალისტების“ წევრმა ფრიდონ ინჯიამ ყურადღება გაამახვილა რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე და მიუთითა არჩევნებში მათი მონაწილეობის სირთულეზე, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის გამო.[17] ალტერნატივად ინჯიამ პარლამენტს შესთავაზა საარჩევნო უბნის გახსნა რუსეთთან ყველაზე ახლოს, ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში, რაც შეეხება მეორე ვარიანტს, საარჩევნო უბნების გახსნას შვეიცარიის საელჩოების მეშვეობით, მისივე თქმით, შეუძლებელია.[18]

„ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ოპოზიციის საპასუხოდ, რომლებიც აპელირებდნენ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, როგორც ემიგრაციის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორზე,[19] განაცხადეს, რომ არსებული სტატისტიკა მოიცავს ისეთ მოქალაქეებსაც, რომლებიც არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ სხვა, მაგალითად, სასწავლო, სამუშაო ან/და სამკურნალო მიზნებით გადიან ქვეყნიდან. ქვეყნიდან გასვლა კი, თავისთავად, კატასტროფა არ არის.[20]

პარლამენტის სხდომაზე პასუხი არ გასცემია უმთავრეს კითხვას - რამდენი საარჩევნო უბანი გაიხსნება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქვეყნის გარეთ.

3. „მიტოვებული პარტიების“ გაუქმება

2024 წლის 21 თებერვალს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა პარლამენტში დააინიციირეს კანონპროექტი, რომლითაც ცვლილება შედის ათამდე საკანონმდებლო აქტში. კანონპროექტის მიხედვით, თუ პოლიტიკური პარტია ანტიკორუფციულ ბიუროს ზედიზედ 2 წლის განმავლობაში არ წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს, ბიუროს მიმართვის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ამ პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციას გააუქმებს.[21] ინიციატორების თქმით, კანონპროექტის მიზანი ე.წ. „მიტოვებული პარტიების“ გაუქმებაა.[22] დღეს საქართველოში 514 პარტიაა რეგისტრირებული, აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას კი მათი მცირე ნაწილი ეწევა.[23] მაგალითად, 2020 წლის არჩევნებზე 73-მა პარტიამ მიმართა ცესკოს საარჩევნო რეგისტრაციისთვის, რომელთაგან მხოლოდ 50 დარეგისტრირდა.[24] პოლიტიკური პარტიები, რომლებიც აღარ ფუნქციონირებენ, ვერ ახერხებენ თვითგაუქმებას; კანონის ეს პროექტი კი მათ ამაში დაეხ-

[15] იქვე.
[16] იქვე.
[17] იქვე.
[18] იქვე.
[19] იქვე.
[20] იქვე.
[21] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 21 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ekz57, განახლებულია: 17.04.2024.
[22] „ანრი ოხანაშვილი - სპეკულაციაა საუბარი, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებებით პარტიებს შეზღუდვები უწესდება, ეს არის ე.წ. „მიტოვებული პარტიების“ გაუქმების საკითხი“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 4 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/riohtp, განახლებულია: 10.04.2024.
[23] „პარტიების გაუქმებას პრემიერის დანიშნული მოხელეც შეძლებს - რას ამბობს კონსტიტუცია და კობახიძის სახელმძღვანელო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 5 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/uwn6q1, განახლებულია: 10.04.2024.
[24] იქვე.

მარება, რაც პარტიათა რეესტრის გაჯანსაღებასა და განახლებას გამოიწვევს.[25] ამ ინიციატივას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა როგორც პოლიტიკოსების, ისე კონსტიტუციონალისტების მხრიდან. საკითხი გასცდა პოლიტიკურ სფეროს და სამართლებრივ კონსტიტუციურ სივრცეში შეიჭრა. საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში.[26] პოლიტიკური პარტიების აკრძალვის საკითხი განსაკუთრებით სენსიტიურია დემოკრატიულ სახელმწიფოში და, შესაძლოა, მიემართებოდეს პოლიტიკურ პლურალიზმს. კონსტიტუციონალისტ ლევან ალაფიშვილის მოსაზრებით, პარტიის გაუქმება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს, მასზე უნდა იმსჯელოს საკონსტიტუციო სასამართლომ და არა საჯარო რეესტრმა.[27]

საკანონმდებლო ინიციატივის ავტორებმა ამ საკითხებზე აპელირება სპეკულაციად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ კანონის მიზანია არა პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის შეზღუდვა, არამედ მხოლოდ მათი რეესტრის განახლება და იმ მიტოვებული პარტიების გაუქმება, რომლებიც ისედაც არ ეწევიან პოლიტიკურ საქმიანობას.[28]

4. „ხალხის ძალამ“ პოლიტიკური პარტია ოფიციალურად დაარეგისტრირა

18 მარტს პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალა“ პოლიტიკურ პარტიად ოფიციალურად დარეგისტრირდა.[29] პარტიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოზარ სუბარი.[30] პარტიის მთავარი კომიტეტი 8 წევრისგან შედგება. სადამფუძნებლო ყრილობაზე დაამტკიცეს პარტიის წესდება და სტრუქტურა, ასევე, სარევიზიო და ხმის დამთვლელი კომისიების შემადგენლობა.[31]

პოლიტიკური მოძრაობა „ხალხის ძალა“ 2022 წლის აგვისტოში დაფუძნდა. მოძრაობის მთავარ მისიად მათ მოსახლეობის ინფორმირება დაასახელეს.[32] მისი წევრები ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩეოდნენ.[33]

ახლად შექმნილი პოლიტიკური პარტია გეგმავს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა მისი წევრების მოლოდინები შედეგებთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განსხვავდება. ვიქტორ ჯაფარიძე ამბობს, რომ ისინი არ საუბრობენ, რას იზამენ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, თუმცა 5%-იან ბარიერს გადალახავენ. ირაკლი (დაჩი) ბერაიას განცხადებით კი, მათი პარტია 5%-იანი ბარიერის გადასალახად არ შექმნილა. ამასთანავე, ისინი არ გამორიცხავენ კოალიციის შექმნას „ქართულ ოცნებასთან“.[34]

პარტიის მთავარი ამოცანაა, გასამართლდეს „ნაციონალური მოძრაობა“ და ის 9-წლიანი რეჟიმი,

---

[25] „ანრი ოხანაშვილი - სპეკულაციაა საუბარი, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებებით პარტიებს შეზღუდვები უწესდება, ეს არის ე.წ. „მიტოვებული პარტიების“ გაუქმების საკითხი“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 4 მარტი.

[26] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23 (4).

[27] „პარტიების გაუქმებას პრემიერის დანიშნული მოხელეც შეძლებს - რას ამბობს კონსტიტუცია და კობახიძის სახელმძღვანელო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 5 მარტი.

[28] „ანრი ოხანაშვილი - სპეკულაციაა საუბარი, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებებით პარტიებს შეზღუდვები უწესდება, ეს არის ე.წ. „მიტოვებული პარტიების“ გაუქმების საკითხი“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 4 მარტი.

[29] „პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი იქნება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 18 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/90juge, განახლებულია: 10.04.2024.

[30] იქვე.

[31] იქვე.

[32] „ხალხის ძალამ“ პოლიტიკური პარტია ოფიციალურად დაარეგისტრირა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 18 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/587654, განახლებულია: 10.04.2024.

[33] იქვე.

[34] იქვე.

რომელიც მათ დროს იყო, ასევე, „ფარდა აეხადოს ყველაფერს“.[35] ცნობისთვის, „ხალხის ძალამ“ 2023 წლის მარტში დააინიციირა ე.წ. რუსული კანონი, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, თუმცა, მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე, მეორე მოსმენის დროს ჩააგდო.

5. მელია-გვარამიას „ახალი“ პოლიტიკური გაერთიანება

11 მარტს ნიკანორ მელიამ და ნიკა გვარამიამ პრეზენტაციაზე განაცხადეს, რომ ისინი ახალ პოლიტიკურ ძალა „ახალში“ ერთიანდებიან,[36] მათი საარჩევნო ნომერი კი 4 იქნება. პრეზენტაციაზე დამფუძნებლებმა წარადგინეს პარტიის ლოგო და ფერები. გვარამიას თქმით, ისინი ნებისმიერ ფასად იბრძოლებენ გამარჯვებისთვის, მათ შორის, მზად არიან, გაერთიანდნენ სხვა პოლიტიკურ ძალებთან.[37]

6. „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო

„ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო და პირველი შეხვედრა ბათუმში გამართა.[38] შეხვედრას უძღვებოდა პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი, აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე და რეგიონული მდივანი დიმიტრი ხუნდაძე. შეხვედრა ჩატარდა ბათუმის, ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ქედას და ხელვაჩაურის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და პარტიის აქტივისტებთან.[39] მათ ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე, ამასთანავე, ყურადღება გამახვილდა საარჩევნო პერიოდში პარტიის მხარდამჭერების როლზეც. „ქართული ოცნება“ მომდევნო 100 დღის განმავლობაში 10 რეგიონში გეგმავს ანალოგიურ ვიზიტებს.[40]

---

[35] იქვე.

[36] „ნიკა მელია და ნიკა გვარამია ერთიანდებიან, მათი გაერთიანება „ახალი“ კი არჩევნებში მონაწილეობას საარჩევნო ნომერი 4-ით მიიღებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 18 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wwcrm7, განახლებულია: 10.04.2024.

[37] „ნიკა გვარამიამ მელიასთან ერთად ახალი პარტიის პრეზენტაცია გამართა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2024 წლის 11 მარტი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/713152/, განახლებულია: 10.04.2024.

[38] „ქართულმა ოცნებამ“ რეგიონებში წინასაარჩევნო კამპანია აჭარიდან დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „პალიტრანიუსი“, 2024 წლის 2 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ARSU7, განახლებულია: 10.04.2024.

[39] იქვე.

[40] „10 რეგიონი, 100 დღე და მზადება მე-9 გამარჯვებისთვის - „ქართულმა ოცნებამ“ პარტიულ აქტივთან შეხვედრები ბათუმიდან დაიწყო!“, საინფორმაციო პორტალი „რუსთავი 2“, 2024 წლის 2 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/276666, განახლებულია: 10.04.2024.